

## საქართველოს კანონი

### „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N40, 18.07.2005, მუხ. 264) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. 24-ე მუხლის:

ა) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის სახის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული სახის მოკლე ხრახნილულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვის უფლებით) ნებართვა;“

ბ) მე-14 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

14. ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის სახის გაზის (აირის) იარაღის, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის, სპორტული სახის გრძელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული სახის მოკლე გლუვულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვა;

გ) მე-14 პუნქტის შემდეგ დაემატოს 14<sup>1</sup>-14<sup>3</sup> პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„14<sup>1</sup>. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გასაზღვრული სამოქალაქო სახის იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვა იმ პირების მიერ, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად სამსახურებრივი უფლებამოსილების გავლის შემდეგ შეუნარჩუნდათ იარაღის ტარების უფლება;

14<sup>2</sup>. სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ-ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირების საკუთრებაში არსებულ იარაღზე, სამსახურებრივ-სამტატო იარაღის სტატუსის მინიჭებისათვის იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვა.

14<sup>3</sup>. იარაღის შეძენის (ტარების უფლებით) ნებართვა „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ-ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მოსარგებლე პირზე სამსახურებრივ-სამტატო სტატუსით გადაცემული იარაღის შეძენის (ტარების უფლებით) ნებართვა.“

**დ) მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

“15. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოში სამოქალაქო სახის ცეცხლსასროლი ან/და გაზის იარაღის შეძენის, აგრეთვე შეძენილი იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვა.”

**ე) მე-15 პუნქტის შემდეგ დაემატოს 15<sup>1</sup> და 15<sup>2</sup> პუნქტები შემდეგი რედაქციით:**

“15<sup>1</sup>. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის და საქართველოდან გატანის ნებართვა.

15<sup>2</sup>. შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულებების მერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვა.”

**ვ) მე-19 და მე-20 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„19. უცხო ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვან პირთა ვიზიტის დროს მათ თანმხლებ პირთა მიერ იარაღისა და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის, საქართველოდან გატანისა და საქართველოში გადაადგილების ნებართვა.

20. იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვა და გადაგზავნის ნებართვა.“

**ზ) 21-ე პუნქტი ამოღებული იქნეს.**

**თ) 22-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

“22. საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო სახის ცეცხლსასროლი ან/და გაზის(აირის) იარაღის, მისი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა) ნებართვა”

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი